ირმა რატიანი

ვაჟა-ფშაველა 150

საქართველოს ისტორიაში არიან პიროვნებები, რომელთაც საეტაპო როლი აქვთ შესრულებული ქართულ და არა მარტო ქართულ სამწერლობო თუ სამეცნიერო, საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ასპარეზზე. ერთ-ერთი უპირველესთაგანი ვაჟა-ფშაველაა, რომლის დაბადებიდან 150 წლის იუბილე მიმდინარე 2011 წელს სრულდება და ქართველი ერი მოვალეა, სათანადო პატივი მიაგოს გენიალური შემოქმედის ხსოვნას.

ვაჟა-ფშაველა იმ მოაზროვნეთა რიგს განეკუთვნება, რომელთა მნიშვნელობა ეროვნული და მსოფლიო კულტურის წინაშე არათუ ხუნდება დროთა განმავლობაში, არამედ — ფართოვდება, მეტ დატვირთვასა და მასშტაბებს იძენს, ღრმავდება მკითხველთა ყოველი ახალი თაობის ინტელექტუალური მოთხოვნილებების მიმართულებით. დღეს, 21-ე საუკუნეში, ინტერკულტურული კომუნიკაციების მზარდი განვითარებისა და გაღრმავების ეპოქაში, განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს ვაჟა-ფშაველას, როგორც ქართული ლიტერატურული აზროვნების გამორჩეული წარმომადგენლის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხელახალი ინტერპრეტაცია, რომელიც ორიენტირებული იქნება თანამედროვე საერთაშორისო ინტელექტუალური საზოგადოების ინტერესებსა და აქცენტებზე, ლიტერატურულ მოთხოვნებსა და გემოვნებაზე. ყოველი ეპოქა ახალ-ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მწერლის შემოქმედებით მემკვიდრეობას და მისი წაკითხვის ინოვაციურ შესაძლებლობებს გვთავაზობს, აღსავსეს ხშირად მოულოდნელი თვალთახედვებითა და წახნაგებით.

თანამედროვე ლიტერატურული საზოგადოებისათვის, რომელსაც კარგად აქვს გაცნობიერებული ნაციონალური ლიტერატურული მოდელების ღირებული ჩართვის მნიშვნელობა ფართომასშტაბიან კულტურულ დიალოგში, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების განჭვრეტა და გააზრება ახალ პერსპექტივაში. 21-ე საუკუნის მკითხველისათვის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება მრავალი კუთხით, როგორც ტრადიციულით, ისე — ნოვაციურით, არის საინტერესო და საყურადღებო. მათ შორის: ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობა, მისი თემებითა და მიზნებით, გვიანი რეალიზმის ეპოქის კლასიკური ნიმუშია და ზედმიწევნით ზუსტად აირეკლავს იმ უაღრესად საინტერესო მიმართებებს, რომელიც არსებობს მე-19 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურულ და ქართულ ლიტერატურულ მოდელებს შორის; ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, ნასაზრდოები პროგრესული ფილოსოფიური და ლიტერატურული პრინციპებით, არის ერთგვარი სიმძიმის ცენტრი, რომელსაც ეფუძნება მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურული პროცესების — თამამი მოდერნისტული ტენდენციებისა თუ ექსპერიმენტების — შინაგანი კავშირი ტრადიციულ ქართულ მწერლობასთან და, ამ თვალსაზრისითაც, მწერლის როლი და ფუნქცია უტოლდება მისი რამდენიმე გენიალური თანამედროვის კულტურულ-ისტორიულ მისიას; ვაჟა-ფშაველა არის დღევანდელი ქართული (და არა მარტო ქართული) საზოგადოებისთვის აქტუალურ „კავკასიის თემაზე" იშვიათი სისწორით ორიენტირებული შემოქმედი: მისი მწერლობა ეროვნული იდენტობის დაცვის ნიშნითაა აღბეჭდილი და ეროვნულობის იდეა პირდაპირ კავშირშია „კავკასიელის" ცნების ისტორიული ღირებულების აღორძინებასთან. ეთიკური და საზოგადოებრივი რო ეტ ცონტრა, რომელსაც ვაჟა-ფშაველა საფუძვლად უდებს თავისი პერსონაჟების ღირებულებათა შკალას, სცდება ვიწრო სეპარატიზმის სტანდარტს და

ჰუმანიზმის უღრმესი შრეებისაკენ მიემართება; ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, ნასაზრდოები ქართული მითლოგიური და ფოლკლორული ტრადიციებით, მხატვრული მითისქმნადობის ელეგანტურ პროცესს წარმოადგენს, ის სრულად აირეკლავს მითოლოგიური არქეტიპების გავლენას ლიტერატურაზე და წარმოაჩენს ხალხური სიტყვიერების არა მხოლოდ მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების, არამედ ყოფითი კულტურისა და მსოფლმხედველობრივ წარმოდგენათა რეფლექსირების ფუნქციას მხატვრულ ტექსტებში.

ვაჟა-ფშაველას გენია დიდი ხანია გასცდა საქართველოს საზღვრებს და საერთაშორისო კულტურული საგანძურის შემადგენელ ნაწილად იქცა. მისი ლიტერატურული თუ პუბლიცისტური მემკვიდრეობა მსოფლიო ინტელექტუალური აზროვნების ფასეული მოდელია, რომელიც არამარტო აირეკლავს უნივერსალურ ლიტერატურულ კანონს, არამედ — საკუთარი ორიგინალურობითა და თვითმყოდფადობით აფართოებს მსოფლიო ლიტერატურული პროცესის ესთეტიკურ შესაძლებლობებს. ეს არამარტო სიამაყის საგანია, არამედ — ვალდებულებაც, ქართველი ერის ზღვარდაუდებელი მეხსიერებითი ვალდებულება იმ ბუმბერაზი ტალანტის წინაშე, რომელსაც ვაჟა-ფშაველა ჰქვია.

Irma Ratiani

Vazha-Pshavela 150

Summary

Key words: Vazha-Pshavela, 150th anniversary, Modern world philological society and Vazha-Pshavela's fiction.

This year Georgia is celebrationg Vazha-Pshavela's, the great Georgian writer's 150th anniversary.

Today, in the epoch of increasing development of intercultural communications, new interpretation of the creative heritage of Vazha-Pshavela, as an outstanding representative of Georgian literary thinking, take on special significance, as well as his valuable integration in wide scale intercultural dialogue.

For the modern world philological society Vazha's fiction is noteworthy in many respects: Vazha-Pshavela's literary heritage, with its themes and purposes, is a classical example of the epoch of the late realism; Vazha-Pshavela's creative work is a center of gravity on which 20th-century Georgian literary processes are based; For today's Georgian (and not only Georgian) society Vazha-Pshavela is a writer oriented on the topical „Caucasian Theme" with rare awareness; In spite of the fact that dwelling locality of Vazha-Pshavela's characters is of micro-ethnographical nature, the compositions are universal by their plot; The ethnographic world reflected in the texts is socially so archaic that many of its elements become familiar and close for specialists only through Vazha's poetry; Consideration of Vazha-Pshavela's fiction, his poetry is impossible without knowing mythological world outlook, namely Georgian mythology and folkloric tradition. Today is very important to overview Vazha-Pshavela's intellectual heritage and to highlight the mythological-folkloric thinking as coordinating conceptual trend of world literature.

Vaja-Pshavelas intellectual heritage already belongs to the world intellectual inheritance. His genius writing not only reflects the universal literary canon, but expands it due to his creative originality and infinite fantasy.